ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 33-137

"29" დეკემბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-87 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge 05.01.2015 წ., სარეგისტრაციო კოდი: 210010010.35.101.016105) და დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებიდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობებიდან, 2016 წლის განმავლობაში, საჯარო

ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცემა ის გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა არ აღემატება 2 ლარს.“

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

"ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტის მიღება განპირობებულია დადგენილებაში მითითებული ვადის ამოწურვით, კერძოდ, დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაცემა, თუ მოსაკრებლის ოდენობა არ აღემატება 2 ლარს, შესაძლებელი იყო 2015 წლის განმავლობაში. წარმოდგენილი პროექტით აღნიშნული შეღავათი 2016 წელსაც გაგრძელდება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის დამტკიცება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი